უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით

ქალაქი თბილისი 7/04/2021

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შევთანხმდით შემდეგზე: შპს ს/ნ: , რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც "გამყიდველი", წარმოდგენილი შპს დირექტორის მინდობილი პირის ს პ/ნ: მეშვეობით (მინდობილობა # , ნოტარიუსი) გაყიდა გამოსყიდვის უფლებით და პ/ნ: , რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც "მყიდველი", იყიდა გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი გამოსყიდვის უფლებით, მდებარე: გარდაბანი, სოფელი კრწანისის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: 02.04.04.565, სრული ფართობი 500.00 (ხუთასი) კვ/მკვ.მ., ნაწილი ფართობი 0 (ნული)კვ.მ. ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო- სამეურნეო.

ნასყიდობის საგანზე გამყიდველის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №882021139760. მომზადების თარიღი 03/03/2021.

ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 22000 აშშ (ოცდაორი ათასი) დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რომელსაც მყიდველი სრულად გადაიხდის თიბისი ბანკის შპს კუთვნილ ანგარიშზე თანხის განთავსებით. აღნიშნულის შემდეგ გამყიდველი მხარე ვალდებულია, ნასყიდობის თანხის ფარგლებში გაათავისუფლოს ნასყიდობის საგანი რეგისტრირებული იპოთეკისაგან (იპოთეკარი: , იპოთეკის ხელშეკრულება N , ნოტარიუსი , უფლების რეგისტრაცია:) მხარეები თანხმდებიან, რომ გამყიდველს აქვს ნასყიდობის საგნის გამოსყიდვის უფლება 2022 წლის 10 ივნისის ჩათვლით (გამოსყიდვა მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით მხარეთა შეთანხმების თანახმად. თუ გამოსყიდვის უფლების მქონე პირი მოითხოვს მყიდველის საბანკო რეკვიზიტებს გამოსყიდვის განხორციელების მიზნით, მყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მას საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები ელექტრონული ან/და სხვა

ხელმისაწვდომი ფორმით. გამოსყიდვა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული თავდაპირველი ფასით. გამოსყიდვის ვადის გასვლამდე მყიდველს ეკრძალება ნასყიდობის საგნის გასხვისება და ვალდებულებით დატვირთვა. ყველა ხელშეკრულება, რომელსაც მყიდველი დადებს გამოსყიდვის ვადის განმავლობაში აღნიშნული მიზნით გამყიდველის თანხმობის გარეშე, ბათილია. მხარეები ინფორმირებულნი არიან სამოქალაქო კოდექსის 509-ე და 513-ე მუხლების შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ. გამოსყიდვის ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ გამყიდველი კარგავს გამოსყიდვის უფლებას, ხოლო მყიდველი იძენს შეუზღუდავი საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე, რაზედაც მყიდველი და გამყიდველი უფლებამოსილნი არიან ერთობლივი განცხადებით მიმართონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნასყიდობის საგნისათვის სამართლებრივი შეზღუდვის მოხსნის მოთხოვნით.

ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, იგი ნივთობრივად უნაკლოა და მყიდველისათვის ცნობილია მისი სამართლებრივი მდგომარეობა და ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი აღმოჩნდება უფლებრივად ან ნივთობრივად სხვა ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. მყიდველს არ წარმოეშვება უფლებები ამ ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ.

ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა პირობების მიმართ მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ხოლო მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი [redacted] შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

[redacted] დირექტორის

მინდობილი პირი [redacted]

[redacted]

[redacted]

[